**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიას, ბ. ხიდდეველის სავაჭროს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

**ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის წესდების გამსინჯველის კომისიისაგან**

ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის წესდების გამსინჯველი კომისია უცხადებს ამ ბანკის დამფუძნებელთ, რომ ამ კომისიის მიერ შედგენილი პროექტი ბანკის წესდების შეცვლისა უკვე დაიბეჭდა და დაურიგდა ბ-ნთ მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლთ, რათა დაურიგონ ტფილისის სათავად-აზნაურთა ბანკის წევრებსა. (3—3)

ტფილისი, 26 მარტი

ჩვენის გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან—რა უბედურება მოხდა რკინის გზაზედ წითასა და ფონას სადგურებ შუა. ზვავი მიწისა მოსწყდა, დასცემია საყარაულოსა, მიუნგრევ-მოუნგრევია საყარაულო, საცა სძინებია თორმეტს მუშა-კაცს, ქვეშ დაუტანია ყველა ესენი და გამოუსალმებია წუთის-სოფლისათვის თავისიანთა და მახლობელთა დაუტირებლად.

საცოდავნი!.. შიმშილისა და წყურვილისაგან საიდამ სად წამოსულთა სამუშაოდ უწყალო ბედმა სად გაუთხარა სამარე? კორრესპონდენტები იწერებიან, საცოდავებს ცოლები და წვრილ-შვილნი დარჩენიათო. სწორედ ამ ცოლ-შვილის გაჭირების მაყურებელთა ვეღარ აიტანეს ნაკლებულობა და მწუხარება, ცოლ-შვილს გამოეთხოვნენ იმ აზრით, რომ წავალთ, გავირჯებით, ორიოდ გროშს ვიშოვით და აღდგომა დღეს მაინც მაძღრობისას და სიხარულისას გაგითენებთო, მაგრამ მათმა შავ-ბედმა ისე იმუშავა, რომ იგინი შეაკლა ამ იმედს. ჩვენი კორრესპონდენტი იწერება.

ასე უეცრად გამოესალმნენ ეს საცოდავნი ამ წუთი-სოფელს და ნათესავთა და ცოლ-შვილთა ცრემლი არ ეღირსათ. ათას გაჭირებას გაუძლეს იმ იმედით, რომ სააღდგომოდ მაინც ვნახავთ ჩვენს ცოლ-შვილს და გავახარებთ ჩვენის ნამუშავარითაო, მაგრამ ისე თქვენმა მტერმა გაიხაროს, როგორც მათი ცოლ-შვილი გაიხარებს ამ ამბის გაგონებაზედ!...

იმედმა ორიოდე დღის მაძღრობისამ ისე უმტყუვნა, რომ სამუდამო წყარო საზდოებისაც სრულიად დაუშრო მათს დამშეულს ცოლ-შვილსა, სიხარული აღდგომისა საუკუნოდ მიძინების გლოვად გადაუქცია. აღდგომის ცისკრის ზარი მათთვის გლოვის ზარი იქნება, სიხარული აღდგომისა მათთვის ტირილი და თავში ცემა იქნება. ყველანი იტყვიან ყოველთა ქრისტიანთა სასიხარულო სიტყვას: ქრისტე აღზდგაო და იმათ კი თავში-ცემით, პირთა ხოკვით, ვიშით და ვაით უნდა სთქვან: პატრონი მოგვიკვდაო. მათთვის სამგლოვი გაირლვა მკვდარის აღდგომისათვის კი არა, ცოცხალის დამარხვისათვის!...

მათ მარტო საყვარელი ქმარი, მამა, ძმა-კი არ მოუკვდათ, მოუკვდათ ლუკმის მომაწვდენელი კაცი, მოუკვდათ ის, ვისზედაც დამოკიდებული იყო ხუთისა, ექვსისა და იქნება მეტისაც გამოზრდა, გამოკვება, ჯანმრთელობა, სიცოცხლე.

საყვარელის ქმარის, მამის ანუ ძმის გლოვა სულის მწუხარებაა. აქ ჩვენ ვერც ამის სიმწვავეს გავუნელებთ ჭირისუფალთა და ვერც ტკივილს დანაკარგისას დავაყუჩებთ. ეგ სულის ვაებაა და აქ მოყვასი მოყვასს ხელს მაგრე რიგად ვერ მიაწვდენს: ვერც სიტყვა ნუგეშისა სჭრის საკმაოდ, ვერც ცრემლი გულ-შემატკივარობისა.

თუ აქ ვერას ვუშველით ჭირისუფალთა, ეს ხომ ჩვენ ხელთ არის, რომ მათი ცოლ-შვილნი, მათი უსუსურნი წვრილ-შვილნი, მათი დაობლებული ოჯახი მათს შემდეგ ორიოდე დღე მაინც შევინახოთ უშიმშილოდ, უმწყურვალოდ. თუ სამუდამოდ არა, სააღდგომოდ მაინც მივაწოდოთ თითო ლუკმა, რომ მათმა ბალღებმა ამ საუფლისწულო დღეს მაინც არავის შეჰნატრონ, არავის შესტირონ: გვშიან, პური მოგვიტეხეთო. ამას ითხოვს კაცთ-მოყვარეობა, ამას ითხოვს იგი ღმერთი, რომელიც ღარიბთა და გაჭირებულთათვის ჯვარს ეცვა და რომლის სადიდებლადაც აღდგომა დღეს მთელი ქრისტიანობა სიხარულით იგალობებს: ქრისტე აღზდგაო.

ქრისტეს აღზდგების სახელით მივმართავთ ყველას, რომ თავისი წვლილი შესწირონ ეგრე უბედურად გარდაცვალებულების ოჯახებსა და წვრილ-შვილსა. ჩვენის გაზეთის რედაქცია ყოველთვის ღია იქნება შემწირველთათვის. ყოველივე შემოწირულობა თავ-თავის დროზედ გამოცხადებული იქნება გაზეთშივე.

## ახალი ამბავი

*** გუშინ სალამოს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას უნდა განეხილნა საქმე ამ საზოგადოების მდივნის თანამდებობისა და მოვალეობის შეცვლის თაობაზედ. საზოგადოებას განზრახვა აქვს მდივნობა ამ საზოგადოებისა საპატიო თანამდებობად გაჰხადოს და ჩააბაროს ერთს რომელსამე თავის წევრს, რომელიც უსასყიდლოდ და უჯამაგიროდ განაგებს სამდივნო საქმეებს. ამ საპატიო მდივანს ეყოლება თანაშემწე, რომელსაც ექმნება ჯამაგირი წელიწადში ასი თუმანი. აქამდე საზოგადოების მდივანს ას ოცი თუმანი ეძლეოდა ჯამაგირად.

*** 28 მარტს ამავე საზოგადოების დარბაზში, სალამოს $7\frac{1}{2}$ საათზედ, იქნება შეერთებული კრება სამეურნეო და სატეხნიკო საზოგადოების წევრთა. კრება მოისმენს ბ-ნ ფონ-ვეისენგოფის მოხსენებას «რისთვის უფრო საჭიროა სხვა-და-სხვა წყლები კავკასიისა». არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრონ ამ კრებაზე.

*** გუშინწინდელმა კონცერტმა, რომელიც ბ-ნ აღნიაშვილის ქართულმა ხორომ გაჰმართა ბანკის თეატრში, კარგად ჩაიარა. საზოგადოება აღტაცებით ისმენდა თითქმის ყოველს სიმღერას. მეტად მოეწონათ ერთი ჩეხური ხმა, რომელსაც ორი ხორო ამბობდა: ერთი ხორო სცენაზე იყო და ერთი კულისებს უკან, კარგა მოშორებით. მოსწონდათ აგრეთვე ფინური მარში: „აღსდეგ გმირთ-გმირო“...წმინდა ქართული ხმეხომ უფრო ძრიელ მოეწონა საზოგადოებას, რომელიც სამწუხაროდ ძალიან ნაკლებად დაესწრო. კონცერტზედ დაესწრო სხვათა შორის ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსი თავ-მჯდომარე ბ-ნი გონჩაროვი თავის მეუღლითურთ.

*** ქართულის დრამატიულის საზოგადოების გამგეობისაგან მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდად შემდეგი ანგარიში შესახებ იმ ბალისა და წარმოდგენისა, რომელიც იყო გამართული ამ ზამთარს ხსენებულის საზოგადოების სასარგებლოდ.

1 თებერვალს „კრუჟოკში“ გამართულის ბალის შემოსავალი:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბილეთები გაიყიდა . . . . | 1,011 | „ |
| პრემიები (ბილეთის ფასზე მეტი, საჩუქარი) . . . . . . | 164 | „ |
| სულ . . . . . . . . . | 1,175 | „ |
| დაიხარჯა: მუსიკაზე . . . . | 85 | „ |
| კოტილიონის კუთვნილებაზე . | 103 | „ |
| ხალები, ხეები, ყვავილები და სხვა მორთულობა დარბაზებისა. | 212 | 35 |
| ელექტრონის განათება . . . | 22 | „ |
| „კრუჟოკს“ სალამოს ხარჯი. . | 61 | 31 |
| აფიშების დაბეჭდვა და სხვა წვრილმანი ხარჯი . . . | 48 | 60 |
| სულ . . . . . . . | 532 | 26 |
| ამ გვარად, ხარჯის გარდა, ბალიდამ შემოვიდა. . . . | 642 | 74 |
| წმინდა შემოსავალი იმ წარმოდგენისა, რომელიც ის. ფითუაშვილმა გამართა 13 თებერვალს თავის თეატრში ამ საზოგადოების სასარგებლოდ. | 138 | 50 |
| სულ ბალიდამ და წარმოდგენიდამ შემოვიდა. . . . . | 781 | 24 |

ამასთანავე ქართულის დრამატიულის საზოგადოების გამგეობა ვალადა ჰრაცხავს, გულითადი მადლობა გამოუცხადოს იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღო და შემწეობა აღმოუჩინა გამგეობას ზემოხსენებულის ბალისა და წარმოდგენის გამართვის დროს: კნ. პ. ვიტგენშტეინისას (დადიანის ასულს), ტფილისის „კრუჟოკის“ გამგეობას, ის. ფითუაშვილს და იმ სცენის მოყვარეთ, რომელთაც უსასყიდლოდ მიიღეს მონაწილეობა წარმოდგენაში.

*** იგივე დრამატიული საზოგადოება გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ დრამატიულის საზოგადოების გამგეობა არავითარს მონაწილეობას არ იღებს იმ კონცერტებსა და წარმოდგენებში, რომელიც იმართება არა ჩვენის საზოგადოების სახელითაო.

*** ქუთაისის მაზრიდამ გვწერენ, რომ სოფელს ქოლობანს რაღაც უცნაური სნეულება გაჩნდაო. ეს სენი კისერს უსიებს კაცს და ჰკლავსო. რამდენიმე კაცი კიდეც მოუკლავს ამ სენსა.

*** ვლადიკავკავიდამ გვწერენ, რომ ქიშტებში ტოის სოფელში ორმა ქიშტმა მოჰკლეს ერთმანერთი. აი საქმე როგორ იყო. ერთს ქიშტს სისხლი ჰმართებოდა მეორესი. ვისაც სისხლი ჰმართებოდა, წასულიყო იმასთან მეორე ქიშტი და სახლის კარებში ჩასაფრებულიყო იმ იმედით, რომ გამოვა თუ არა გარედ, მოვკლავო. მაგრამ ამ დროს სახლის პატრონს შეატყობინეს, რომ ასე და ასეა საქმეო. საწყალმა ქიშტმა არ იცოდა, რა ექნა, გამოსულიყო, ცუდი დღე დაადგებოდა, არ გამოსულიყო და სირცხვილი და სიკვდილი იქნებოდა, რადგან ქიშტების ჩვეულებით ამ გვარი სიმხდალე არ შეიწყნარება. მეტი ღონე არ იყო, შეიჭურვა სახლის-პატრონი ქისტი და გამოვიდა გარედ. გამოსვლის უმალვე დასცეს ერმანერთს თოფები და ერთი აქედ გადიქცა, ერთი იქით. ორივემ იმ წამსვე სული განუტევა.

*** ორშაბათს, მარტის 23-ს, ტფილისის ოლქის სასამართლოში განხილულ იქმნა საქმე კოლა ფერიძისა, იოსებ გულიჯანოვისა, დათო დათოშვილისა და სხვებისა (სულ 19 კაცისა), რომელნიც გაქცეულან მეტეხის ციხიდამ.

აი საქმე როგორა ყოფილა: ნოემბრის 23-ს 1885 წ., სალამოს 7 საათზე, ყარაულს უნტერ-აფიცერს შეუმჩნევია, რომ ციხის კედელზე ჩამოკიდებულის თოკის საშუალებით დაბლა ჩადის ერთი ტუსაღი. ყარაულს მაშინათვე შუბი დაურტყამს ამ ტუსაღისათვის, რომელიც ჩავარდნილა ძირს და იქვე მომკდარა. ეს ტუსაღი იაგორ ღარიბოვი ყოფილა. ამის შემდეგ გაუსინჯავთ ციხე და უნახავთ, რომ კოლა ფერიძე, იოსებ ყულიჯანოვი, დათო დათოშვილი, ტიგრან მოსესოვი და სარიბეგ ვასკანოვი გაქცეულან. გაქცეულ ტუსაღებს კედლის ძირი გამოეთხარათ და იქიდამ გაქცეულიყვნენ. ორი ტუსაღი იქვე დაუჭერიათ და დანარჩენები კი ქალაქში შეუპყრიათ.

სასამართლომ განუჩინა დათოშვილს და ფერიძეს სამის წლით ციხე; მოსესოვსა და ვასკანოვს ერთის წლით და დანარჩენი ბრალდებულნი-კი გაამართლა.

*** ქალაქის საბჭოში ხმოსანს იარალოვს გამოუცხადებია, რომ წყლის მილები, რომელსაც ახლა აწყობენ, ვერ არის კარგი ტეხნიკურის მხრივ და ამიტომ უთხოვნია გამგეობისათვის, ამ საქმის გამო საჭიროა გამოძიება დაინიშნოსო.

*** გაზ. «კავ. მიმ.» გვაუწყებს, რომ ტფილისში უკვე დაარსებულა ახალი ამხანაგობა, რომელიც გამართავს დილიჟნებს ტფილისსა, კოჯორსა, მანგლისსა და მარტყოფს შუა.

*** „Новости Дня“ სწერს, რომ ტფილისის თეატრის ანტრეპრენიორს ფორკატის მოუწვევია ბ-ნი იუჟინი, სუმბათაშვილი რამდენსამე წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად მაისის განმავლობაშიო.

*** „Новое. Время“ გვაუწყებს, რომ კავკასიის მთავარ-მართებელი თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი ჯერ ვერ წაბრძანდება კავკასიაში, რადგანაც მისი მეუღლე მძიმედ ავად-მყოფიაო.

## დღიური პროვინციელისა

ბათუმი ჩვენის მწერლობისათვის კერძოდ და ქართველებისათვის საზოგადოდ ბევრის მხრივ არის საყურადღებო. იმოდენად საგულისხმიეროდ მიმაჩნია ბათუმის ვითარება და ავ-კარგიანობა, რომ აფსუსია ამ ქალაქზე „სადღიურო“ ლაპარაკი არ ჩამოვუგდო „ივერიის“ მკითხველს ქართველობას. რომელ ამბავზე იტყვით რომ „სადღიურო“ არ იყოს? მაშ დღევანდელს ჩემს დღიურს ბათუმს მოვანდომებ.

დღეს ჩვენშიაც დიდ-მარხვაა. შიდა ფიცარი, შიდად შეკრული, ვერც მეფე გახსნის, ვერც მისი ჯარი. ამ გონივრულს ბრძნულს ამოცანაში ბევრს რასმეს ჰხატავს ქართველი. დიდ-მარხვა ჩვენ, ქართველებს ისეთ წმინდა, საღმრთო, რჯულის დაწესებულებად მიგვაჩნდა, რომლის გატეხა არც მეფეს და არც იმის ჯარს არ შეეძლო. ამ ღრმა ამოცანას ჰქონდა თვისი დიდი მნიშვნელობა, როცა საქართველოს ეკკლესიას თვისი ჰერკულესები ჰყვანდა, როცა ეკკლესიურის საქმეების მესვეურნი იყვნენ დიდებული გენიოსები ქართულის ღვთის-მეტყველებისა. დღეს იმ ნაირს მდგომარეობაში არის საქართველოს ეკკლესია, რომ გვხამუსხავს ამ გვარის მაღალის აზრების წერა და ხმარება. დიდ-მარხვა გადის და ბათუმის ეკკლესიაში ხმა არ ამოუღიათ ეკკლესიის მსახურთა ქართულად, თუმცა ყველა მათგანი ქართველები არიან. რა მიზეზია?—იქნება ის, რომ ქართული ტიბიკონი არ გვი-

ვარგა! არა გვგონია. ყველაფერი თვისი ჰქონდა და აქვს საქართველოს ეკკლესიას, მაგრამ დღეს კი ამ გვარად არის საქმე. ნურავინ იფიქრებს იმას, რომ თუ ქართველები მოითხოვენ ქართულს წირვა-ლოცვას, აქ რამე სხვა აზრი ვისმეს ჰქონდეს. აქ იხატება მხოლოდ წრფელი სარწმუნოებრივი გრძნობა, მაღალი გრძნობა ქრისტიანულის მოძღვრებისა, ქრისტეს რჯულისა, რომლის დასაცველად გაიჟლიტა ნახევარზე მეტი ქართველობა. რუსეთში თავისუფლებაა აღიარებული სარწმუნოებაში. თუ ბერძენს, თათარს, ურიას, სომეხს აქვს ნება მოისმინოს წესები ღვთის-მსახურებისა გასაგებს ენაზე, ქართველები რატომ არ უნდა სარგებლობდნენ ამ უფლებით? მამა ქიქოძეს, ბათუმის ეკკლესიის დეკანოზს, ქართველებმა სთხოვეს ერთი გვარი მაინც აღესრულებინა ქართულად საეკკლესიო წესები ღვთის-მსახურებისა, მაგრამ მამა დეკანოზმა ეს საფუძვლიანი თხოვნა მრევლისა არ შეასრულა. ჩემის აზრით, ამ საგანს დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს სასულიერო მთავრობამ, რომელიც ათას გვარს ზომას აწესებს სარწმუნოების განცხოველებისათვის ჩვენში და სულიერი მამები კი უარს გვეუბნებიან წირვა-ლოცვა გვაგვაგონონ. ამ გვარი გარემოება გმობაა საქმისა. ვისა აქვს უფლება მე-19 საუკუნეში ნება არ მისცეს ქრისტიანს თავის ენაზე ევედროს გამჩენელს, მაცხოვარს? ბათუმში ძალიან ბლომად არიან ქართველები. თუ ჩვენში კიდევ ღვივის ღვთაებრივი ნაპერწკალი სარწმუნოებისა, ეს საქმე გაზვიადებულს ამბავად არავინ უნდა ჩასთვალოს ჩვენში. ეს-და შეგვრჩენია ჩვენის მამა-პაპათგან!

* * *

სხვაფრივ არა გვიჭირს-რა ბათუმელ ქართველებს. ისეთს ბედნიერს ქალაქში ამოვყავით თავი, რომ რა გაგვიჭირდება.! რა იყო გუშინ ბათუმი და რა გახდა იგი დღეს?! ვინ იცის, რა მერმისი მოელის ბათუმსა, თუ არა უხიმანა-რა ბედის სიმუხთლემ. ერთმა ევროპიელმა დიპლომატმა თურმე სთქვა ოდესმე ბათუმზე, რომ ბათუმი რის მაქნისია, იგი ცხენების „ახერია"-ო! კარგი ახერია, თქვენმა მზემ! ახერი კი არა, საქვეყნო ქალაქია, საქვეყნო ბაზარი. ყოველის მხრივ იზრდება ბათუმი. დღეს კიდევ სამს დიდ შენობას აკეთებენ. ისეთ ყაზარმებს აპირობენ აქა, რომ შიგ მოთავსდეს ასი ათას ჯარის-კაცამდე. კაი „ახერი" ყოფილა! კეთდება უკვე ღარიბთა თავ-შესაფარი და საქალაქო სამკურნალო. თუ რამდენად წინ წარსდგა ფეხი ბათუმმა მოქალაქობრივს ცხოვრებაში, თუ რამდენად განცხოველდა და აღორძინდა აქ საზოგადოებრივი ცხოვრება, ამას დაინახავთ, სხვათა შორის, შემდეგის ცნობიდგანაც. აი რა ჟურნალ-გაზეთები მოდის აქა:

„ივერია" 12, „ცისკარი" 1, „მწყემსი" 1, „თეატრი" 5, „მშაკი" 29, „ნორ-დარი" 13, „Кавказъ"-ი 44, Новое Обозрѣніе" 30, „Кавказское Обозрѣніе" 6, „Московскія Вѣдомости" 5, „Русскія Вѣдомости" 2, Русскій Курьеръ"-ი 2, „Московскій Листокъ"-ი 1, „Вокругъ Свѣта" 8, Современныя Извѣстія" 2, „Будильникъ"-ი 3, „Кронштадскій Вѣстникъ"-ი 2, „Каспій" 10, „Южный Край" 1, „Русскій Листокъ"-ი 2, журналъ „de S.-Petersburg"-ი 2, „Петербургскій Герольдъ"-ი 2, „Минута" 2, „Новости" 13, „Новое Время" 6, „Русскій Инвалидъ"-ი 8, С.-Петербургскія Вѣдомости" 1, „Свѣтъ"-ი 28, „Сынъ Отечества" 4, „Железнодорожный Листокъ"-ი 1, „Морской Сборникъ"-ი 1, „Нувелистъ"-ი 1, „Сенатскія Вѣдомости" 7, „Вѣстникъ Европы" 13, „Досугъ и Дѣло" 17, „Новороссійскій Телеграфъ"-ი 6, Одесскій Листокъ"-ი 3, „Одесскія Новости" 1, „Варшавскій Дневникъ"-ი 1, „Черниговскія Губернскія Вѣдомости" 1, „Дѣловой Корреспондентъ-ი 1, „Задушевное Слово" 7, „Иллюстрированный Міръ"-ი 12, „Нива" 89, „Журналъ путей Сообщенія" 1, „Русская Старина" 6, Сѣверный Вѣстникъ"-ი 6, „Журналъ Акушерства" 1, „Врачъ"-ი 8, „Всемірная Иллюстрація" 3, „Вѣстникъ Модъ"-ი 6, „Живописное Обозрѣніе" 29, „Военный Сборникъ"-ი 6, „Новь"-ი 3, Ремесленная Газета" 1, „Осколки" 7, „Родина" 3, „Церковный Вѣстникъ"-ი 2, „Стрекоза" 7, „Наблюдатель"-ი 1, „Недѣля" 3. აქ არ არის ნაანგარიშევი უცხოეთიდგან დაკვეთილი ჟურნალ-გაზეთები, რომელთა რიცხვი მცირე არ არის.

* * *

რა ამბავია, რომ ბათუმში ასე ცოტა მოდის ქართული გაზეთები? თუ იმას ვიტყვით, რომ ქართველობა ცოტაა, ეს საბუთად არ მიიღება, რადგანაც აქ არც ისე ცოტაა ქართველობა, რომ ასე მცირე ნაწილი მოდიოდეს ჩვენის გაზეთებისა. ყველა დაწესებულებაში აქ ბლომად არიან ქართველები: გურიის დრუჟინაში თითქმის სულ ქართველობაა, მაგრამ ეს „[illegible]"-კი ჩვენს გაზეთებს არ იწერენ. საბაჟო უწყებაში, პოლიციაში, ოლქის სამმართველოში, მომრიგებელ-სასამართლოში, ფოსტა-ტელეგრაფში, ხაზინაში არიან ქართველები. არიან აგრეთვე სხვა-და-სხვა კერძო დაწესებულებაშიაც. ვაჭრებიც ბლომად არიან, ასე გასინჯეთ, კაი მსუბუქი სოვდაგრებიც, მაგრამ მაინც ასეა საქმე. უკაცრავად კი ვარ ბათუმელ ქართველობასთან, მაგრამ „მეგობარს პირში უძრახეო", იმისი არ იყოს, ძალიან გულ-გრილად ეპყრობიან თავის სამშობლო ლიტერატურას. რა საკვირველია აქ ირიბად ლაპარაკი! აბა ავიღოთ ბათუმში სხვა ხალხი და შევუფარდოთ ერთმანეთს. სომხებს, ურიებს, ბერძნებს არა თუ თავის სამშობლო ენაზე დაარსებული გაზეთები მოსდით, სკოლებსაც კი თავისის ხარჯით ინახავენ. დიდი სირცხვილი და იქნება ჩვენის ქართველობისათვის, თუ ცოტათი მაინც არ დააკვირდება იგი თავის ცხოვრებას. განა კაცი ისე უნდა იყოს გაყუჩებული, მიძინებული, რომ თავის ჭკუა-გონებას პატარა მაინც რამ საზრდო არ მიაწოდოს? ადამიანი საზოგადოებასაც უნდა უყურებდეს, თვის გარდა სხვაც უნდა ახსოვდეს. ეს ხომ მაცხოვრის მოძღვრებაა. საყვედურის ღირსნი არიან უფრო აქაური მოხელეები, რომელთაც ყოველთვის შეუძლიანთ რაიმე პირადი სიამოვნება შესწირონ კეთილს საქმეს და გადასდონ ორიოდე გროში. მერე რა საქმეს? ტვინის აღმზდელს, გამწვრთნელს, გამავარჯიშებელს საქმეს. იმაზე საზარელი მდგომარეობა რაღა უნდა იყოს კაცისათვის, როცა მას მაღალი გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა შეუწირავს წვრილმანის ცხოვრების სხვა-და-სხვა მოსაზრებათათვის.

* * *

ჩვენშიაც მოელიან ახალს გუბერნატორს. ახლავე აეშალათ ძველი დარდები. ისევ ლაპარაკი იწყეს იმ ჯადოსანს „დავთარზე", რომელზედაც არა-ერთხელ მილაპარაკნია „დროებაში". იმდენს რასმე ამბობენ ამ „დავთარზე", რომ მართლა რაღაც ჯადოდ გეჩვენებათ. ღმერთმა ხელი მოუმართოს „დავთარსაც" და მედავთრეებსაც. ეხლა ყველა იმედეულობს, რომ იქნება ბათუმს ეღირსოს თვითმმართველობა და დღევანდელის დეპუტატების გამოცვლაო. ასი-ათას მანათზე მეტი შემოსავალი აქვს ქალაქს და თვითმმართველობა კი არა. ამ დღეებში აქ ჩამოვიდა სოფელ მარელისიდგან, ზემო იმერეთიდგან, ერთი დედა-კაცი, ქვრივი მაღრაძისა. ეს დიაცი დაეძებდა თავის ქალს, რომელიც მას დაუკარგავს ამ 12 წლის წინად. ამ დიაცს უნახავს თავის შვილი ერთის აქაურის ბეგის სახლში. ის გოგო თურმე მიუთხოვებიათ მაჭმადიანისათვის, ქმარი მოჰკვდომია, შვილი დარჩომია ობოლი და ისევ იმას სახლში დაბრუნებულა, ვინც გაათხოვა. ცოდვით დაიწვით დედაკაცის ლაპარაკით. „მიჩვენეთ ჩემი შვილიო, სხვა არაფერი მინდაო!" გუბერნატორისათვის მოუხსენებია დედა-კაცს თავისის საქმის გარემოება. უბედურ დედას ჩააბარებენ თავის 12 წლის განმავალობაში უნახავს შვილსა.

ბათუმელი

## მიცვალება და დასაფლავება იოსებ დავითაშვილისა.

თელავი, 20 მარტს. როგორც „ივერიის" მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, ამ თვეის 13-ს, ცხრის ნახევარზე, საღამოთი, გარდაიცვალა ჩვენს მწერლობაში ცნობილი იოსებ დავითაშვილი. 9-ს ამ თვეს ავად გახდა ფილტვების ანთებით და ოთხის დღის ავად-მყოფობის შემდეგ განუტევა სული. ოთხი თვე იქნება, რაც იოსებ დავითაშვილი მოიწვია თელავში დურგლების ამხანაგობამ და განსვენებულს უნდა უმადლოდეს ეს ამხანაგობა, რომ ახლა უფრო კარგად მიდის ამისი საქმეები; ახლა ამ დურგლების საქმე უფრო ძმურად, „ამხანაგურად" არის დაწყობილი, ვიდრე იოსების მოსვლამდე იყო.

ისედაც სუსტს განსვენებულს იოსებს თურმე დიდის ხნით ავად-მყოფობა ჰქონდა, სახელდობრ, თიაქარი. აქ ყოფნაში ხან თავის ტკივილს, ხან გულის ტკივილს და ფრიალს უჩიოდა ხოლმე განსვენებული; მაგრამ 8 ამ თვეის 9-მდე კიდევ არა უშავდა-რა. ცხრას კი ფილტვების ანთებით გახდა ავად, ლოგინად ჩავარდა და თითქმის გონებაც დაჰკარგა. ჩვენ, მისმა ნაცნობებმა, ძრიელ გვიან შევიტყეთ, თორემ იქნება გვეშველნა როგორმე. განსვენებულს იმდენი შეძლება არა ჰქონდა, რომ რიგიანად ეწამლნა თავისთვის. შეიტყეს თუ არა მისმა ნაცნობებმა მისი მდგომარეობა, მაშინვე შეაგროვეს ფული და ექიმი დააყენეს, მაგრამ ამანაც ვერა უშველარა. იოსები იდგა ერთს საძაგელს, ბინძურს ოთახში სხვებთან ერთად და ერთი პატარა ყმაწვილი, დურგლების შეგირდი, უვლიდა. რასაკვირველია, ეს ყმაწვილი რიგიანად ვერ მოუვლიდა, ხელს ვერ შეუწყობდა. ექიმმა სთქვა: „ანთებისაგან ცალი მხარე დაჭერილი აქვს და ბეწვზედ ჰკიდია მაგისი სიცოცხლე. ცოტა თუ გაუციედა მეორე მხარე, გათავდებაო". მართლაც ასე მოსვლოდა საწყალს. 13-ს ამ თვეს საღამოთი მეორე ტახტზე დაწოლა მოენდომნა, ამდგარიყო სადამურის ტან-საცმელით ამარა და დაწოლილიყო მეორე ტახტზე თუ არა, ორის წამის შემდეგ გადაცვლილიყო.

15-ს ამ თვეს თორმეტის ნახევარზე დაასაფლავეთ მიცვალებული. დასაფლავებაზე დაესწრო ამქრობა სტალრებისა, დურგლებისა და ხუროებისა, საქალაქო და სასულიერო სასწავლებლების მასწავლებელნი, ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი და რამდენიმე სხვა ახალგაზრდა კაცი. მღვდელთაგან მობრძანდნენ ღვთაების მღვდელი მ. ჩიქვაიძე და თელავის საკრებულო მღვდელი ი. შიუკაშვილი და საჭირო მღვდელ-მოქმედება უსასყიდლოდ შეასრულეს. ერთს სხვა მღვდელსაცა სთხოვეს, მაგრამ ასე ბრძანა თურმე: „უფულოდ ფეხსაც არ გადავსდგამო". დასაფლავების დროს ვარდენ გოცირიძემ, დურგლების ამხანაგობის მოთავემ და განსვენებულის მეგობარმა, წარმოსთქვა შესაფერი სიტყვა დაახლოვებით შემდეგის შინაარსისა:

„მოვედით აქ, რომ უკანასკნელი პატივი ვსცეთ და საუკუნოდ მივაბაროთ ულმობელის სიკვდილისაგან მოტაცებული ჩვენი ნაცნობი და მეგობარი გაუმაძღარს მიწას! განსვენებული იყო ჩვენი ამხანაგი, ერთი ღარიბი დურგალი, საწყალი გლეხ-კაცი. ჩვენ, მთელს ამქრობას, გული გვეწვის და განუსაზღვრელად ვწუხვართ, რომ ჩვენი გულითადი მეგობარი და ძვირფასი ამხანაგი გამოესალმა ამ წუთი-სოფელს და შეუბრალებელმა სიკვდილმა საუკუნოდ მოგვაშორა. მაგრამ თქვენ, განათლებულნო და ნასწავლნო, თქვენ რაღამ მოგიზიდათ აქ? მე კარგად ვიცი, რომ განსვენებული თქვენი ნათესავი არა ყოფილა, მაშ იქნება რაიმე პატივ-საცემს ღირსებას ამჩნევდით განსვენებულს და ამიტომ მობძანდით?! თუ ასეა, არ მოტყუებულხართ, ბატონებო! დიაღ, განსვენებული პატივის-ცემის ღირსი იყო. ამიტომ გეწვით თქვენც გული და ჩვენთან ერთად სწუხართ მის უდროოდ დაკარგვას.

„განსვენებულმა შინაურულად შეისწავლა წერა-კითხვა; მერმე მიჰყო ხელი ჟურნალ-გაზეთობის და ქართულის წიგნების კითხვას და არც ერთი ქართული წიგნი არ გამოჰპარვია წაუკითხველი. გაიცნო განათლებული საზოგადოებაც; ბევრი იმათგანაც ისწავლა; ბოლოს ლიტერატურულს შრომასაც მიჰყო ხელი და ცოტა სარგებლობაც მოუტანა ქართველ ხალხს. განათლებულს მხოლოდ იმას უძახოდა განსვენებული, ვისაც თავის განათლებით ცოტაოდენი სარგებლობა მაინც არის მოუტანია ან მოაქვს თავის მოძმეებისათვის. თუ დამიჯერებთ, ისიც განათლებული იყო, თუმცა შინაურულად. ჯიბით ღარიბი, სულით მდიდარი იყო განსვენებული და სულ იმას ცდილობდა, რომ დროის შესაფერად მეტი ცოდნა, გამოცდილება და სწავლა შეეძინა და მით სხვისთვისაც სასარგებლო ყოფილიყო. როგორც მოგეხსენებათ, განსვენებული დურგალი იყო, მშვენიერი ხელოსანი, ჩუქურთმის ხელობის ზედ მიწევნით მცოდნე. ესეც თითქმის შინაურულად შეისწავლა. თუმცა ასეთი ხელოსანი იყო, მაგრამ ხშირად შიმშილით კუჭი ეწვოდა ხოლმე. მიზეზი ის იყო, რომ ქარხნების პატრონებს ვერ ეთვისებოდა ყოვლად პატიოსანი და ფრიად სინიდისიერი განსვენებული იოსები. ქარხნების პატრონები გამორჩომას, სიმდიდრეს უფრო მისდევენ და თავიანთ მუშებს ყურადღებას არ აქცევენ; ქარხნების პატრონები მუდამ იმას ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ამუშაონ შეგირდები და ხელოსნები, მეტი საქმე გააკეთებინონ და მეტი გამორჩომაც ჰქონდეთ. არ დასდევენ იქ მომუშავეთა ჯანის სიმრთელეს, ზნესა თუ გონების განვითარებას და არც სხვა რამეს, რაც ქარხნებში მომუშავეთა კეთილ-დღეობას შეეხება. თვითონ ხელოსნებიც იმასვე ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ამუშაონ შეგირდები, სტანჯონ, აწვალონ და თითონაც ჯაფით და ოფლით შეძენილ ორს გროშს ლოთობასა და ღვინის სმაში ჰფლანგავენ. განსვენებულს თითქმის ტფილისის ყველა სადურგლო ქარხნებში უხელოსნია და ვერც ერთში კი ვერ დარჩენილა დიდს ხანს. რათა? იმიტომ რომ არ მოსწონდათ იმისი ქცევა არც ქარხნების პატრონებს და არც ხელოსნებს. მხოლოდ შეგირდებს უყვარდათ ძალიან განსვენებული და თავიანთ ძმებში და მამაში არ არჩევდნენ.

„დიდი ხანი არ არის რაც იოსები აქ მოვიდა და აქაც შეგირდებს ისე შეუყვარდათ, რომ გულითა და სულითა სწუხან მის გარდაცვალების გამო. განსვენებული მამასავით ექცეოდა შეგირდებს. თავის დროზე და ზომიერად ამუშავებდა, თავის დროზე დაასვენებდა, სხვა-და-სხვა სასარგებლო დარიგებას აძლევდა, ბევრს წერა-კითხვაც შეასწავლა, უკითხავდა სასარგებლო შესაფერ წიგნებს. ხელოსნებსაც არ სტოვებდა უყურადღებოდ; რამდენი სასარგებლო დარიგება მიუცია იმათთვისაც, ვინ იცის. ქარხნების პატრონებს ეს არ მოსწონდათ,— „შენ შეგირდებს გვირყვნიო", ეუბნებოდნენ განსვენებულს და მუდამ სდევნიდნენ, რითაც კი შეეძლოთ. ხელოსნები კიდევ უფრო გულს უკლავდნენ,— „შენ თუ კარგი კაცი იყო, წამოხვალ და ჩვენთან ერთად იმხიარულებ და იქეიფებო", ეუბნებოდნენ განსვენებულს ლოთობაში ხელოსნები. როცა რამე ლექსს დასწერდა და იმათაც წაუკითხავდა, ასე უწამლავდნენ გულს: „შენც გიჟიშვილი გამოხველი, საქმე გამოგლევია, თუ რა არის? რა ხელოსნის საქმეა გაზეთების კითხვა და ლექსების წერაო?"

„ლექსების წერა, წიგნების კითხვა და სწავლის სიყვარული იყო მიზეზი, რომ განსვენებული ხანდისხან დიდს გაჭირებაში იყო ხოლმე. ნაცნობებიც უსაყვედურებდნენ ხოლმე საცოდავს: «შენ ზარმაცი ხარ, თორემ სამუშაოს როგორ ვერ იშოვნის შენისთანა ხელოსანიო». ნათესავებიც საყვედურს ეუბნებოდნენ: „იფიქრე რამე შენთვის, რას ჩასციებიხარ წიგნსა და ქაღალდებსაო". ასე და ამ გვარად თითქმის ყოველის მხრით შევიწროებული, შეწუხებული და დევნული იყო ჩვენი ძვირფასი მეგობარი იოსები. მაგრამ იოსებმა ყველაფერი აიტანა და თავის საქმეს არა ჰღალატობდა. იოსებს მამული უფრო მეტად უყვარდა, ვიდრე თავისი თავი და მზად იყო მისთვის შიმშილიც მოეთმინა, წყურვილიცა, სიტიტვლეცა, სიშიშვლეცა, საყვედურიცა და სამდურავიცა.

„და აი, ძმებო, დღეს დავკარგეთ ასეთი უგულითადესი და ძვირფასი მეგობარი! დავკარგეთ შესანიშნავი ხელოსანი, დავკარგეთ ღრმად პატიოსანი მშრომელი და სინიდისიერი კაცი და ნუ თუ წუხილი და გლოვა არა გვმართებს?! დღეს მაინც დავაფასოთ მამულისშვილი და ვუთხრათ განსვენებულს: საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, პატიოსანო მუშაკო იოსებ!!!"

ეს სიტყვა ისეთის გრძნობით და ხელოვნებით წარმოსთქვა ვარდენ დურგალმა, რომ ყველა იქ მყოფნი სმენად გადავიქეცით და გვიკვირდა ვარდენის მჭევრ-მეტყველური ნიჭი.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

ბ-ნო რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ ნება მოგვცეთ, რომ თქვენის გაზეთის შემწეობით მადლობა გადავუხადოთ იმ ტფილისის მუშებსა და ხელოსნებსა, რომელთაც თავიანთი გულითადი მწუხარება გამოაცხადეს იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო თქვენისავე გაზეთის მე-56 ნომერში. ჩვენ, თელავის მუშა-ხელოსნები ვიყავით ქირისუფალნი მიცვალებულისა, ჩვენ ხელში განუტევა სული, ჩვენ დავუხუჭეთ თვალები, ჩვენ დავუკრიფეთ გულ-ხელი განსვენებულს და საუკუნოდ მივაბარეთ შავს მიწას. ტფილისის მუშებისა და ხელოსნების თანაგრძნობამ ჩვენ, განსვენებულის გულითადი მეგობრები და დაახლოვებული ამხანაგები, დიდად გვანუგეშა და მოგვათმენინა ჩვენი დარდი და მწუხარება, გამოწვეული იოსებ დავითაშვილის დაკარგვის გამო.

დურგალი ვარდენ გოცირიძე და ამხანაგები.

თელავი
22 მარტს, 1887 წ.

### II

ბატონო რედაქტორო!

ჩემის მხრით ნებას ვაძლევ ჩემს თავს ერთი ორიოდე გროში გარდმოგცეთ იმ უბედურთა ცოლ-შვილის სასარგებლოდ, რომელნიც ასე უდროოდ, მოულოდნელად და საზარლად გამოაცალა თავიანთ სახლს და კარს და მოაშორა წუთის სოფელს ზვავმა წიფასა და ფონას შუა. ამასთანავე უმორჩილესად გთხოვთ, რომ თქვენც თქვენის გაზეთის შემწეობით მოიწვიოთ თქვენი თანა-მოძმენის აქაური გაზეთები და აგრეთვე საზოგადოება, რომ ისინიც შეეწიონ, ვისაც რით შეუძლიან, იმ უბედურების დაობლებულს და დაწიოკებულს ცოლ-შვილსა.

გლადიმირ დიმიტრის-ძე ინანიშვილი.

ტფილისი
24 მარტს, 1887 წ.

## ქართლ-კახეთის საეკლესიო გალობა.

1860 წლებში მიძინებულმა ქართულმა გალობამ გაიღვიძა, იმ დრომდე მიმალულმა — თავი იჩინა. ამ გალობის მცოდნედ მხოლოდ ერთი კაცი აღმოჩნდა — მღვდელი გრიგოლ კარბელაშვილი († 1880 წ.), რომელიც 1861—1863 წლამდე წმ. ნინოს ეკლესიაში ასწავლიდა გალობას სიღნაღის მაზრის დიაკვნებს და სხვათა, ვისაც კი სურვილი ჰქონდა გალობის სწავლისა; 1864—1872 წლებში ასწავლიდა ტფილისის სასულიერო სემინარიაში და სასწავლებელში. 1872—1882 წლამდე გალობის სწავლება შეჩერებული იყო.

1882—1885 წლებში ქართულის გალობის სწავლებას ხელი მოჰკიდა განსვენებულის გრიგოლის შვილმა მღ. პ. კარბელაშვილმა. აი სწორედ ამ ხანებში აიდგა ფეხი ქართულმა გალობამ და მას აქედ ნელ-ნელა წინ მიდის. 1884 წ. თებერვალში ლაპარაკი აღძრეს გალობის ნოტებზე გადაღების შესახებ, მაგრამ ლაპარაკი ლაპარაკად რჩებოდა, ვიდრე ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსი ალექსანდრე არ ჩამოვიდა გურიიდგან ტფილისში. ამ წლის ოქტომბრის 1-ლს იგი შეეკრა პირობის წერილით ბ-ნს იპპოლიტოვ-ივანოვს 400—500 საგალობელის ნოტებზე გადაღება 2,000 მანათად ეს პირობის წერილი ეგზარხოსმაც დაამტკიცა. ეპისკოპოსი ამ ფულს თავის საკუთარის ჯიბიდგან აძლევს. 1885 წლამდე გადაღებულ იქმნა ნოტებზე: მწუხრი, ცისკარი და წირვა: ოქროპირისა, დიდის ბასილისა და პირველ შეწირულის; მღვდელთ მთავრის წირვა, მიცვალებულის წესი, ქორწინების წესი და სხ. მეცხრე ხმის პირებზედ ახლა საქმე შემდგარია. 1885 წლიდან ერთი დიდი დაბრკოლება აღმოუჩნდა გალობის ნოტებზე გადაღებას: ამ საქმისათვის მიჩემებულნი — ორნი ძმანი მღვდ. კარბელაშვილები განაყრდნენ იქმნენ — ერთი სოფლად, მეორე ქ. ნუხში.

**

დღეს ტფილისში ქართულის გალობის მოყვარენი მრავლად არიან: აქ შემდგარია საეკლესიო გალობის დასი ბ-ნ ბერიშვილისაგან და ქართულის საერო სიმღერებისა ბ-ნ აღნიაშვილისაგან. ჩვენ გვსურს ბ-ნ ბერიშვილის დასის გალობაზედ ორიოდე სიტყვის თქმა. წინადვე ვაცხადებთ, რომ ჩვენს აზრს მსაჯულის აზრად არა ვასხავთ; ჩვენ მხოლოდ გვსურს იმ შთაბეჭდილების გაზიარება მკითხველებთან, რომელიც ჩვენში დაიბადა ბერიშვილის დასების გალობა-სიმღერების მოსმენის დროს.

ბ-ნი ბერიშვილი ტფილისის სასულიერო სასწავლებელში მოწაფეობდა 1867—1872 წწ. მაშასადამე, გალობა რაც იცის, ისწავლია მღ. გ. კარბელაშვილისაგან. ბ-ნ ბერიშვილის პირველი ღირსება მისი მეცადინეობა და შრომის მოყვარეობაა. ამითი უნდა აიხსნას, რომ სამოთხს თვეში დასი მოუმზადებია წირვაზედ საგალობლად. ეს წირვის გალობა ჩვენ მოვისმინეთ. საზოგადოდ, უნდა გამოვსტყდეთ, გალობამ სიამოვნება აღძრა ჩვენში. იმედია, რომ დასი თან-და-თან შეიმუშავებს ხმებს და თვით გალობის კილოშიაც აღნიშნავს ქართულს სულსა და ხასიათსა.

ამისთვის საჭიროა ბ-ნმა ბერიშვილმა ყურად იღოს ყოველივე შენიშვნა გალობის მცოდნე-მოყვარეთა და შეძლებისა გვარად განაკარგოს თავისის დასის გალობა. აი ჩვენი შენიშვნები: ყოვლად შეგვიწყალე, შენ ყოვლად, ამინ, მოგვმადლე ყოვლად და სამი ყოვლად შეგვიწყალე — ყოველთვის ერთ ნაირად ბოლოვდება, განსხვავება საჭიროა აუცილებლად. „რომელი ქერაბიმთა“-ს მოკვეთილი აქვს ყოველის მუხლის დამაბოლოვებელი ხმების ტრიალი, რომელიც მაჩვენებელია ამ კილოს საერო სიმღერებიდგან წარმოშობისა. ამ ხმის ტრიალის გამოდევნა კილოდგან ბ-ნ ბერიშვილის ბრალი არ არის: ეს ბრალი უნდა დასდვას ბ-ნ ბენაშვილს, ოქროპირის წირვის ნოტებზე გადამღებს. ამას ბ-ნ ბენაშვილი წინასიტყვაობაში აცხადებს „რომელი ქერაბიმთა“ მე შევასწორეო. დღემდე ესე იგალობებოდა: როიომეიელი და სხვ. ეხლა კი მე შევასწორე რომელი. ბ-ნი ბენაშვილი ვერ მიმხვდარა, რომ ძველადაც იცოდნენ — რომელი უნდოდა, თუ როიომეიელი და სხ. ძველადგანვე არამც თუ ჩვენში — არამედ საბერძნეთში და რუსეთში ეგევე შემოდება გალობაში იხმარებოდა. რათა? მათა, ბ-ნო ბენაშვილო, რომ უწინ, როგორც სხვაგან, ისე ჩვენში ხმის საზომი ნიშნები არა იყო-რა დადგენილი, როგორც ეხლა — ტაქტი, ნახევარი ტაქტი, 1/4 ტაქტი, 1/8 ტაქტი, 1/16 ტაქტი და სხ. აი ამ ხმის საზომ ნიშნების უქონლობა ძველადვე აწუხებდა ჩვენებსაც და რომელსამე ხმოვან ასოზედ ხმის გაგრძელებას და ტრიალს ნიშნავდნენ ხოლმე სხვა ხმოვანის ასობით, ანუ ესრე: რო(იო)მ(ეი)ელი, და სხ. ეგევე ითქმის ამ საგალობლის ყოველ მუხლის დაბოლოვებაზედ. რასაკვირველია, სჯობს ეი, იოი და აიაია-ს შეცვლა, და არა მოსპობა, ე. ი. ერთ ხმოვან ასოზედ განგრძობა, ანუ ხმის ტრიალი. ესე არის სწორედ გადაღებული ბ-ნ იპპოლიტოვ-ივანოვისაგან. ერთის მხრივ ეს ცვლილება ბ-ნ ბენაშვილისა იქმნება არაფრად ჩვენოს მკითხველს, მაგრამ ჩვენ კი დანაშაულად გვგონია.

ბ-ნი ბერიშვილი ძალიან კარგს იქმს, რომ დაიცავს ხმის ტრიალი „რომელ ქერაბიმთას“ ყოველ მუხლის ბოლოს. „შენ გიგალობთ“, ეს საუკეთესო საგალობელი მთელ წირვის საგალობლებში, თავის მუხლების დაბოლოვების შეცვლით, სწორე მოგახსენოთ, ისეთი მოსასმენი არ არის, როგორც უნდა იყოს. „შენდამი იხარებში“ იქ, სადაც ბანი უხვევს, ბ-ნ ბერიშვილის მობანენი თითქოს შექა-ქუხილს ჰბაძვენ რუსულებრ. აი ჩვენი წვრილი შენიშვნა.

გვთქვამთ რამე ხმებზედაც. ქართულს გალობაში თუ სიმღერაში სამივე ხმა თავ-დაჭერილია, დაზოგვილი, ე. ი. როგორც რუსულში მოაბნე სრულად აძლევს პირს და ყანყრატო მოშვებული აგრგვინებს ბანს, ქართულში მოაბნე პირს არ აძლევს ნებას მრთელი ხმა ამოაძახოს; ამავე ხასიათისაა პირველი და მეორე ხმაც და ამისათვის ძველადგანვე ქართულს გალობას თუ სიმღერას ლმობიერება აფერობენს. ეს ჩვენგან შენიშნული ნაკლი სრულიადაც არ უკარგავენ ბ-ნ ბერიშვილის დასს მისს დიდს მნიშვნელობასა და ღვაწლსა. ჩვენის ფიქრით, ყოველი ქრთველი მოვალეა ხელი მოუმართოს ამისთანა საქმეს წვრილის, მშრის რჩევით მაინც. უკანასკნელ ვისურვებ ბ-ნ ბერიშვილის დასის წარმატებასა და აღორძინებას.

ქართულის გალობის მოყვარე

## უცხოეთი

**ბოლგარია.** სამზღვარ-გარეთის გაზეთები ამბობენ: ბოლგარელებმა ყოველივე მოთმინება დაჰკარგეს და გარდასწყვიტეს, რომ ამ თთვის, მარტის გასვლამდე მთავარი ამოირჩიონ როგორმე. ბოლგარია ამოირჩევს თავისის ნებით ვისაც უნდა მთავრად, თუ გინდა დიდნი სახელმწიფონი წინააღმდეგნიც იყვნენ ამ არჩევანისა და მერე ვინც რა უნდა თქვასო. იმიტომ უფრო განიზრახეს პირველ აპრილამდე მთავრის ამორჩევა, რომ ყოველ წუთობით მოელიან ბოლგარიაში აჯანყებასა და არეულობას და ეს გარემოება აფიქრებთო.

— გარნიდგანა სწერენ „Journal des Debat“-ს: 21 მარტს ნელიდოვმა სულთანი ინახულა. ნელიდოვს უთხოვნია სულთანისათვის, რომ 1) რიზა-ბეი უკანვე დააბრუნეთ სოფიიდგან; 2) დიდი ვეზირი ოსმალეთისა თანამდებობიდამ გადააყენეთ, რადგან ინგლისსა მომხრეობსო და 3) ოსმალეთმა აღმოსავლეთ რუმინიის ზოგიერთი ადგილები უნდა დაიჭიროს თავის ჯარებითა და რუსეთმა კიდევ ბოლგარიის ზოგიერთი ადგილებითო. სულთანს ამაზე არაფერი უთქვამს თურმე და მარტო ის უკითხავს, რუსეთი რა აზრისაა, როგორ არის მოწადინებული ბოლგარიის საქმის გადაწყვეტასაო.

**გერმანია.** ბელგიის გაზეთი „Meuse“ ამბობს, რომ ამას წინად თავადს ბისმარკს ლაპარაკი ჰქონია ერთს პოლიტიკოსთან და უთქვამს: „ძალიან ძნელია, რომ ელზას-ლოტარინგიას განაპირდეს ყველასაგან. მხოლოდ მაშინ შეიძლება გავაცალკევოთ ელზას-ლოტარინგია, როცა თვით მის მცხოვრებნი იქნებიან ცალკე ყოფნას მოსურვებულნი და თუ საქმე იქამდე მივიდა, იარაღსაც აიღებენ ხელში ამ განაპირებისა და განცალკევების დასაცველად. ელზას-ლოტარინგელებს-კი ეხლაც ისე მიუწევთ გული საფრანგეთისაკენ, რომ მათი განცალკევება ყოვლად შეუძლებელია. აი ეს არის მიზეზი, რომ ელზას-ლოტარინგიას ჩვენ არასოდეს თავს არ დავანებებთ; პირ-იქით, ელზას-ლოტარინგია ყოველთვის დიდს შემწეობას გაგვიწევს და სარგებლობას მოგვიტანს იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი ბრძოლას მოიწადინებს ჩვენთან და ჩვენს დამარცხებას მოინდომებს, მით უფრო, რომ საფრანგეთი ამ ჟამად ერთ ძლიერ სახელმწიფოთაგანად ითვლება და კარგადაც არის შეიარაღებული.

„— თქვენ რა აზრისა ხართო, ჰკითხავს პოლიტიკოსს: საიდგან უფროა ომისა და ბრძოლის შიში ამ ჟამად, აღმოსავლეთის მხრივ, თუ დასავლეთის მხრივ.“

„— ამ ორის თთვის წინად მე ძალიან ვშიშობდი, ომი აუცილებელი მეგონაო, უთქვამს ბისმარკს: ეხლა კი შიში გაიარა, თუმცა ყოველთვის უნდა მოულოდნელი შემთხვევა გვაფიქრებდეს. მაგალითებრ, ვინ იფიქრებდა ამ რამდენიმე წლის წინად, რომ მე და პაპი შევკავშირდებოდით და დავუახლოვდებოდით ერთმანერთს. პოლიტიკაში ყველაფერს უნდა მოელოდეს კაცი... ადვილად შესაძლებელია, რომ კიდევ სადმე ამოჰყოს თავი რომელმამე ბოლგარიელმა და ევროპის მშვიდობიანობა არივ-დარიოსო.“

— ეჭვიანია ბევრნი კითხულობენ, კიდევ დიდხანს იცოცხლებს გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი, თუ არაო? ამაზედ აი რა ამბავს მოგვითხრობენ გაზეთები: 1884 წელს ბერლინში იყო ავსტრიის ელჩის გრაფ სეჩენის ძმის-წული, 17 წლის ქალი; ამ ქალს ხმა დავარდნილი ჰქონდა, რომ მისანიაო, და ძალიან ლამაზი და მშვენიერიც იყო. ერთს დღესასწაულზე ეს ქალი იმპერატორს ვილჰელმს გააცნეს. ვილჰელმს გაგონილი ჰქონდა, რომ ამ ქალს მისანის სახელი აქვს დავარდნილიო და ღიმილით ჰკითხა:

„— იმედი მაქვს, გრაფის ასულო, უარზე არ შესდგებით და მეტყვით: რამდენი წელიწადი სიცოცხლე მაქვს კიდევ?“

ახალგაზდა ქალმა ხელი გამოართო თურმე იმპერატორს, რამდენსამე წამს დაფიქრდა და შემდეგ დინჯად უპასუხა:

„— ოთხმოც-და-თექვსმეტ წლამდე იცოცხლებთო.“

ამ სიტყვებზედ ვილჰელმს ისეთმა ფერმა გადაჰკრა თურმე, თითქოს შეეშინდაო, და რაღაც უსიამოვნოდ გამოსტაცა ხელი ქალსა. ცუდად იმოქმედა თურმე ახალგაზდა ქალის წინასწარ-მეტყველობამ გერმანიის იმპერატორს ვილჰელმზედ.

## განსართობი

**საუმაწვილო ბალი.** ამ დღეებში ბრუკლინში გამართული იყო საყმაწვილო ბალი და ამ ბალზე დამსწრე ყმაწვილები კაცსაოცებდნენ თურმე თავის ტანისამოსის სიმდიდრითა და მორთულობითა. პატარა ქალებს თმები გაკეთებული ჰქონდათ უკანასკნელს მოდაზედ, უმარილი ჰქონდათ თმებზე შეყრილი და ყვავილები გარჭობილი; თეთრი ხელ-თათმანები და გაზის ფერი ფეხ-საცმელები ეცვათ ყმაწვილებს. ერთი პატარა ქალი აბრეშუმის გარდის-ფერს კაბაში იყო თურმე და იმდენი ბრილიანტები ჰქონდა გაკეთებული, რომ დაახლოვებით 26,000 მანათად დააფასეს მარტო ეს ძვირფასი ქვები თურმე. ახალგაზდა ვაჟებიც, ცხრა წლიდგან თოთხმეტ წლამდე, სულ ახალს მოდაზედ იყვნენ თურმე გამოკაზმულები: შავი ფრაკი და მხიარულის ფერი შალვარი ეცვათ, და ყელ-სახვევი ეკეთათ; ხელებზე ძვირფასი ბეჭდები და ოქროს საათი და ძეწკვი გაეკეთებინათ. ვაჟებსაც ახალს მოდაზედა ჰქონდათ თმა გადავარცხნილი თურმე.

**

**გაბათილებული ნიშნობა.** ლონდონის ერთს სასამართლოში შემდეგი სასაცილო საქმე გაურჩევიათ თურმე. 1881 წელს 25 წლის ვაჭარს ვალენტინ მორვის გაუცვნია ერთი 40 წლის ქალი, ანნა მერივალისა. ანნა ამ ვაჭრის მოხუცებულ ბიძასთან ყოფილა მოსამსახურედ. თუმცა ეს ქალი ლამაზი არა ყოფილა, მაგრამ ისე მოუხიბლავს ვალენტინი თავის ერთგულებითა და კეთილის გულით, რომ ვალენტინს ამ ქალის შერთვა განუზრახავს და ქალისათვისაც გამოუცხადებია თავისი განზრახვა. ქალი დასთანხმებია, ნიშნობაცა ჰქონიათ, ხოლო ქალს პირობად დაუდვია, რომ ქორწილს მოხუცებულს ბიძის გარდაცვალამდე ნუ გადავიხდითო. ბოლოს, როცა მოხუცებული გარდაცვლილა, ქალი პირობას გადასდგომია და უარი უთქვამს ჯვარის დაწერაზე უმიზეზოდ. ვალენტინ მორვის საჩივარი შეუტანია სასამართლოში და აი სხვათა შორის რასა სწერს მორვი არზაში: «ჩვენის დანიშნვის შემდეგ ბიძაჩემმა კიდევ ხუთ წელიწად ნახევარი იცოცხლა; ხუთ წელიწად ნახევარი ჩემის საცოლოს სურვილისამებრ მოხუცებულსა და ყრუ ბიძაჩემს წიგნებს ვუკითხავდი ხმა-მაღლა; მე, რომელსაც მგლის მადა მაქვს და ორის კაცის საჭმელი არა მყოფნის სადილზედ, ხუთ წელიწად ნახევარი იძულებული ვიყავი თათრიანხნი მეხვრიპა ჩემის საცოლოსავე წყალობით; ისე ვიყავ ხუთ წელიწად ნახევარი დამწყვდეული და შებორკილი ავად-მყოფ ბიძიჩემისას, რომ ოთახში სიარულის ნებაც მხოლოდ მაშინ მეძლეოდა, როცა ბიძაჩემს ჩაეძინებოდა ხოლმე; ერთის სიტყვით, დამიმონავა ამ დედა-კაცმა და თავის ნებაზე მატარებდა. გარდაიცვალა ბიძაჩემი და იმის გარდაცვალების სწორედ ჩემმა საცოლემ წერილი მომწერა და მწერდა, რომ „უარ-ვყავ ყოველივე ქვეყნიური და თვალნი ჩემნი მიმართე ზეცასაო“. წერილთან ნიშნობის ბეჭედიც თან გამოეგზავნა. ნამდვილი მიზეზი იმის უარისა კი ის არის, ჩემის აზრით, რომ ბიძაჩემმა თავის ქონების ერთად-ერთ მემკვიდრედ ჩემი საცოლე დაჰნიშნა და, ვგონებ, იმიტომ მოინდომა ჩემი თავიდგან მოშორება.“ მომჩივანს უთხოვნია სასამართლოსათვის, რომ ჩემი საცოლე დააჯარიმეთ და მე-კი დამაჯილდოვეთ იმის გამო, რომ ხუთ წელიწად ნახევარი დრო დავკარგე მოხუცებულის ბიძაჩემის მოვლასა და უკან სიარულში და ამიტომ ჩემს საკუთარ საქმეებსაც თავი დავანებეო. ანნა მერივალისათვის 24,000 მანათი გადაუხდევინებიათ მორვის სასარგებლოდ. ანნას გადუხდია ეს 24,000 მანათი და როცა სასამართლოდგან გამოსულა, თავის საქმროსათვის დაცინვით უთქვამს: „თუმცა ეგ 24,000 მანათი წაართვი, საყვარელო საქმროვ, მაგრამ მაინც დიდს ზარალში ხარ, რადგან ბიძაშენმა 380,000 მანათი ნაღდი ფული მიანდერძაო“.

## დეპეშა

24 მარტი

**ხარკოვი.** სამეურნეო გამოფენის დროს აზრადა აქვთ აქ მოიწვიონ თამბაქოს მრეწველნი რუსეთისა, რომელნიც განიხილავენ თამბაქოს მოყვანისა და მრეწველობის საქმესაო.

**ბომბეი.** დეპეშა „რეიტერის სააგენტოსი“. აქაური გაზეთების ლაპარაკით ნურ-მაჰმადი და აჯანყებულნი სოდელნი მიმხრობიან საფარელს მოლას. ნურ-მაჰმადი

სცდილობს ააჯანყოს ჩერახი, რომელიც გილზაიებით არის დასახლებული. ამტკიცებენ, რომ მეამბოხენი დიდ-ძალნი არიან, შეიკრიბნენ მუსტიხში და განზრახვა აქვთ იერიში მიიტანონ გუსნისზეო.

25 მარტი

პეტერბურგი. გაზეთები გვაუწყებენ კიდევ ზოგიერთს ცნობას იმ ბაჟის თაობაზე, რომელიც სამზღვარ.გარედ გასავლელ პასპორტებს ედება: პირველის სამის თთვით სამზღვარ-გარედ წამსვლელმა უნდა გადაიხადოს 10 მან., მეორე სამის თთვისთვის—15 მან., მესამედ—20 მან., შემდეგ—25 და მერე-კი 30 მან. ოქროთი ყოველ სამის თთვისთვის, ამ მხრით პირველ ერთის წლის განმავლობაში სამზღვარ გარედ გასულს გადახდება 210 მ., ხოლო მეორესა და შემდეგს წლებში ოც-ოც-და თექვსმეტი თუმანი 360 მ., ოქროთი. ამას გარდა ნამსახურ ჯარის-კაცთა თავნის სასარგებლოდ უნდა გადაიხადოს $4^1/_2$ მან. ქაღალდის ფული, თუ პასპორტს 6 თთვით იღებს და 10 მან. თუ ერთის წლით ან ცოტა ნაკლების ვადით არის დაწერილი. დასასრულ, თითოეულს პასპორტში გადაახდევინებენ სამს მანათს ბლანკისათვის და თუ პასპორტში აღნიშნულს ვადას გადააცილა კაცმა, ჯარიმა უნდა გადაიხადოს მანათზე ხუთი შაური ოქროთი.

გაზეთებს მოუგონიათ, რომ მინისტრთა კომიტეტმა დიდის ხმის უმეტესობით მოიწონა პროექტი ამიერ-კავკასიის ნავთის-მომყვანის მილისა. ხოლოდ ოთხნი იყვნენ პროექტის წინააღმდეგნი.

„Нов. Время" გვაუწყებს: უწმ. სინოდმა აღკრძალა, რომ მღვდლებს აღსარების თქმისთვის არც ხელში უნდა ეძლეოდეთ ფული და არც საწიგნობელზე უნდა დაუწყოს მრევლმაო. სინოდმავე აღკრძალა შეგროვება ფულისა თეფშითა საყდარში. ყველა ამის მაგიერ უნდა შემოღებულ იქმნას ყოველს ეკკლესიაში საერთო ყულაბები მთელის კრებულისათვის და ვისაც რა ჰსურს, ამ ყუთში ჩააგდებს თავის შეწირულობასაო.

გუშინ უეცრად გარდაიცვალა გულის - ფრიადით გამოჩენილი მხატვარი ივანე ნიკოლოოზის-ძე კრამსკოი.

„Новое Вр." ამბობს: სარწმუნო წყაროთაგან ვიცით, რომ „Сибирскій Вѣстникъ"-ის ცნობა, ვითომ წელს იმართებოდეს ტომსკში უნივერსიტეტი, მართალი არ არისო. საექიმო ფაკულტეტის გამართვას ჰფიქრობენ მხოლოდ $188^8/_9$ სასწავლო წლის დასაწყისიდამაო.

პეტერბურგის ბირჟა, 25-ს მარტს

ფასები:

| | მყიდველისა | | გამყიდველისა | | გაყიდულისა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | » | — | » | 9 | 28 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | » | — | » | $179^3/_4$ | |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — | » | — | » | 246 | |
| — მეორისა . . . . . | — | » | — | » | $230^3/_4$ | |
| გირავნობის ფურცელნი: | | | | | | |
| ტფილისის ბანკისა . . . | — | » | — | » | — | » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | » | — | » | — | » |
| ტფილ სის ურთიერთო ნდობი საზო კადოებისა. | — | » | — | » | — | » |

საკალენდარო ცნობანი

მარტი 31 დღით არის

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

აღდგომა—5 აპრილს, ამაღლება 14 მაისს, სულიწმინდის მოსვლა 24 25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

27 დღე პარასკევი. წმ. იოანე წინასწარ-მხედველისა. კათოლ. რიპერტისა, ალექსანდრასი და იოანნასი. მუსულ. ინსტიტუტაგი. დღე იმამის სადიკის გარდაცვალებისა. ქორწინება იმამისა ფატიმთან, წინასწარ-მეტყველის მჰმადის ქალთან. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 5—31, ჩადის 6—34.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მარტიდამ აპრილამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 | » |
| » 2 » | $2^1/_2$ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2— | $3^1/_2$ | » |
| » » 3 » | 3 | » |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | » |
| მე-3 — . . . | $3^1/_2$ | » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხის. | 8 | » |
| » 2 » | 7 | » |
| სუკი. . . . | 14 | » |
| ცხვრის ხორცი . . . | 10 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხის. | » | » |
| » 2 » | » | » |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთა, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით-

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 8 | 49 | **ბათუმი** . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | **სამტრედია** | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** . . | 1 | 2 | 1 | 17 | **რიონი** . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | **ყვირილა** . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა**. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი**. . . | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია** . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | **გორი** . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები. . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| **ბათუმი** . . | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | ღამით | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი. . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| **გორი** . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | **ტფილისი** . | 8 | 24 | — | — |

კერძო განცხადებანი

საქართველო-იმერეთის კანტორისაგან.

უწმინდესისა და უმართებულესის სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორის სამმართველოში (присутствіе) ამა 1887 წლის 13 აპრილისათვის დანიშნულია ვაჭრობა. ამ ვაჭრობაზედ გაიცემა იჯარით იოანე-ნათლის-მცემლის მონასტრის სათიბი ადგილები. ხელ-მეორე ანუ განმეორებითი ვაჭრობა სამს დღეს უკან იქნება. ვისაც ჰსურს აილოს იჯარით ზემოხსენებული სათიბი მინდვრები, უნდა შემოიტანოს არზა ლერბოვის ქაღალდზედ დაწერილი სინოდის კანტორაში და ითხოვოს, რომ ნება მისცენ ვაჭრობაში შესვლისა. მსურველთ შეუძლიანთ დაბეჭდილი ქაღალდი შემოიტანონ დანიშნულ დროსათვის, დილის 10 საათზე. ამ ქაღალდთან ერთად უნდა წარმოადგინონ ჯეროვანი ბეი ან ნაღდ ფულად და ან საკრედიტო დაწესებულებათა ბილეთებად და აგრეთვე ქაღალდი იმისი, თუ რა წოდებისაა იჯარით მამულის აღების მსურველი. პირობის შეტყობა შეიძლება სინოდალურ კანტორის კანცელარიაში ყოველ-დღე დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდე, კვირა-უქმე დღეებს გარდა. (3—1)

ისყიდება

წიგნის მაღაზიაში: **ტფილისში** ჩარკვიანთან, სემენარიის პირ-დაპირ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე და გრიქუროვთან, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ, კუკიის ხიდისყურთან, **ქუთაისში** ჭილაძესთან.

ამ ახლო ხანებში დაბეჭდილი წიგნი (მხოლოდ 200)

დასტურლამალი

მეფის ვახტანგ მეექვსისა,

გამოცემული პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით. ტფილისს 1886 წ.

ფასი 1 მან. 25 კაპ.

ტფილისს და ქუთაისს გარეშე ადგილებიდამ მსურველთ შეუძლიანთ პირ-და-პირ თვით გამომცემელისაგან დაიბარონ მოხსენებულ ფასად გასაგზავნის ხარჯის დაუმატებლად ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Петру Іосифовичу Умикову. Около Анчисхатской церкви въ д. Гвиніевой.

თამბაქო და პაპიროსები

დონის როსტოველ მეფაბრიკეთა

ძმთ სლანიდებისა.

მაღაზია ყალამქაროვის სახლშია, სასახლის ქუჩაზე, ტფილისში.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პაპიროსის მწეველთა და თუთუნის გამჭრართა, რომ ამა წლის 15 თებერვლიდგან ჩვენ დავიწყეთ თამბაქოს გაჭრობა; ვყიდით ყველა გვარისა და ღირსების თუთუნსა და პაპიროსებს ჩვენის ფაბრიკისას. ჩვენი თუთუნი ისეთის განსაკუთრებულის თვისებისაა, ისეთი კარგი მოსაწევია, გრილია და სასიამოვნოდ სუნელოვანი, რომ დიდი ხმა აქვს გავარდნილი და დიდ-ძალიც ისყიდება რუსეთის იმპერიის ბევრს დიდს ქალაქებში და სამზღვარ-გარედ. ტფილისში და ამიერ-კავკასიაში დღემდე ჩვენი თუთუნი არ იყო ხმარებაში. ამიტომ დღეს გავმართეთ ზემოხსენებული საფაბრიკო მაღაზია და გვსურს გავავრცელოთ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი. უმორჩილესად ვსთხოვთ პაპიროსისა და თუთუნის მწეველთ, ინებონ და იგემონ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი და პაპიროსები.

ბბ-ნთ გამჭრართ იმდენი დავუთმობთ თუთუნის ყიდვის დროს, რამდენსაც საზოგადოდ ფაბრიკები უთმობენ ხოლმე.

მეფაბრიკენი ძმანი ასლანიდები

(25—8)

დაიბეჭდა ახალი საყმაწვილო

წიგნი

„მოლაღური"

ან. თუმანიშვილისა.

ფასი ერთი აბაზი

ისყიდება ტფილისში, ჩარკვიანისა და გრიქუროვის მაღაზიებში, ქუთაისში ჭილაძეების მაღაზიაში და სხვა ქალაქებში კი კერძო კაცებთან. (10—6)

ისყიდება მოსე ჯანაშვილის-მიერ შედგენილი წიგნები:

საქართველოს მოკლე ისტორია

ფასი 60 კაპ.

(ეს წიგნი უმაღლესის მთავრობისაგან მოწონებულია).

საქართველოს საეკლესიო ისტორია

ფასი 45 კაპ.

მერცხალი

ფასი **7** კაპეიკი.

შემდეგს ადგილებში: **ტფილისში:** გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე შემადგენელისას. **ქუთაისში:** გჭილაძის მაღაზიაში. **თელავში:** ვ. როსტომაშვილთან; **სიღნაღში:** ვ. ქიტიაშვილთან; **სურამში:** ა. ქარსიძესთან; **ფოთში:** ხუმარაძესთან. **ყვირილაში** ბლად. ლამბაშიძესთან.

ვინც 20 ცალს «ა» გამოცემისას დაიბარებს პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Тифлисъ Михайл. ул, Г. Д. Картвелишвили). იმას წიგნი დაეთმ[illegible] შაურად.

Дов. ценз. Тиф. 26 марта, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე